

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგია

შესავალი


დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობისა და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მიუკერძოებელი და გამჭვირვალე საქმიანობა ხელს უწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვას და მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

შესაბამისად, ძლიერი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის არსებობა ანგარიშვალდებულები მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2020 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით შეიქმნა სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, რომელშიც ორწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად პირველად განისაზღვრა სამსახურის მისია, გრძელვადიანი ხედვა და მიზნები.

2022 წელს სამსახურის სტრატეგია განახლდა მიღწეული პროგრესის, არსებული საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით, რასაც საფუძვლად დაედო **2020-2021 წლების სტრატეგიის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესრულების ანგარიში**.¹

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრატეგიის დაგეგმარება და განხორციელება, საჭიროებს სამსახურის ძლიერი და სუსტი მხარის გააზრებას, არსებული საჭიროებების სათანადო შეფასებას სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის გათვალისწინებით. ამ მხრივ, სამსახურის სიმძლიერის და წარმატების ძირითად ინდიკატორებს სამსახურის ღიაობა, კვალიფიციური თანამშრომლების გუნდი, განვითარებაზე ორიენტირებული შიდა მენეჯმენტი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა წარმოადგენს. სამსახურის სუსტი მხარეები მოკვლევისათვის დადგენილი მცირე ვადებთან ერთად მეტწილად დაკავშირებულია ფინანსური და მატერიალური რესურსების სიმწირესთან, რაც აფერხებს ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას.

გასული ორი წლის განმავლობაში გარკვეული მიმართულებით აქტივობები შეჩერდა პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო. კერძოდ, 2020-2021 წლებში სამსახურმა უზრუნველყო დაგეგმილი აქტივობების 51%-ის სრულად შესრულება და 36.5%-ის ნაწილობრივ შესრულება. შესაბამისად, შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების შესრულება დაგეგმილია 2022-2024 წლებისთვის.



¹ ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://dis.court.ge/damoukidebeli-inspektoris-samsakhuris-2021-tslis-saqmianobis-angarishi/>

ამასთან, კანონმდებლობა გარკვეულწილად კვლავ საჭიროებს ცვლილებებს დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩართული ორგანოების მეტი დამოუკიდებლობის, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურების პრევენციის, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.


მისია და ღირებულებები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის *მისია* ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა ობიექტური, დროული და გამჭვირვალე დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების გზით. აღნიშნული მისიის მისაღწევად სამსახურის გრძელვადიანი ხედვაა, საქმიანობით ხელი შეუწყოს მოსამართლის ეფექტიანი ანგარიშვალდებული სისტემის შექმნას, შემდეგ ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა;
- გამჭვირვალობა, ღიაობა და პროფესიონალიზმი;
- სწრაფი და სრულყოფილი რეაგირება;
- მხარეთა ჩართულობა და სათანადო ინფორმირება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრატეგიული მიზნები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის *სტრატეგიულ პრიორიტეტს* წარმოადგენს სამსახურის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ დამოუკიდებელია სამსახურის ინსტიტუციურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან, სამსახურს მნიშვნელოვნად მიაჩნია საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, სათანადო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ღიაობა.



წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ის მიზნები, რომლებსაც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური თავად ახორციელებს - აპარატის მოხელეებისა და საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

მიზანი №1 - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური განვითარება

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა გულისხმობს საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, შიდა რეგულაციების გაუმჯობესებასა და ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებას.

1.1. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები ეხება გადაცდომების მომწესრიგებელ ნორმებს (გადაცდომის სახეებს), საპროცესო კოდექსში ასახულ ვადებს და წინასწარი მოკვლევის ეტაპზე არსებულ ხარვეზებს. ნიშანდობლივია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა აღნიშნული რეკომენდაციები და საკანონმდებლო წინადადებები უკვე გააცნო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, და მომავალში იგეგმება აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე აქტიური განხილვების დაწყება.

ამასთან, სამსახური კვლავაც გააგრძელებს თანამშრომლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიზნით.

1.2. სამსახურის შიდა რეგულაციების დახვეწა

შიდა რეგულაციების გაუმჯობესება მიზნად ისახავს სამსახურის საქმიანობის პროცესისა და პროცედურების გაწერას. 2021 წელს სამსახურის მიერ მომზადდა დებულების პროექტი, რის საფუძველზეც 2022 წლისთვის იგეგმება 2 ახალი დოკუმენტის მიღება, კერძოდ:

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მოხელეების სამუშაოს აღწერილობებისა და დამატებითი ფუნქციების დაკისრების წესი;
2. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის დოკუმენტაციის დამუშავებისა და ინფორმაციის გაცემის წესი.

ამასთან, სამსახური კვლავაც გააგრძელებს საქმისწარმოების პროცესებზე დაკვირვებას საჭიროებების გამოვლენის და შესაძლო რეგულაციების ინიცირების მიზნით.

1.3. ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება

2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებები², რომლითაც დამოუკიდებელი ინსპექტორი თავად ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურას, საშტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს, ხელს უწყობს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ფინანსური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველსაყოფად და ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე იგეგმება საბიუჯეტო ხარჯების განსაზღვრა.

² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50¹ მუხლის პირველი პუნქტი

თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება საბიუჯეტო სახსრების ოდენობის საკითხი. შესაბამისად, სამომავლოდ სამსახურის საქმიანობა მიმართული იქნება ალტერნატიული სახსრების მოძიებაზე, მათ შორის ვებგვერდის ადაპტირების, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის კონცეფციის შემუშავების და ელექტრონულ ბაზებზე წვდომის პროგრამის უზრუნველსაყოფად.

მიზანი №2 - დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდა და გადაცდომების პრევენციის ხელშეწყობა

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სახეები და დაიხვეწა სამართალწარმოების პროცესი. 2022 წლის 13 იანვრიდან შემცირდა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები და გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიები.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიასთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატასთან თანამშრომლობით.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის განვითარების მეორე მიზანი, მიმართულია როგორც დისციპლინური სამართალწარმოებისა და არსებული პროცედურების დახვეწის, ისევე, დისციპლინური გადაცდომების პრევენციისა და სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისაკენ.

2.1. დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია სამსახურის თანამშრომლების მიერ პროცედურების სრულყოფილ განხორციელებაზე. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს *საქმის მოკვლევის ზოგადი სახელმძღვანელოს* შემუშავებას, რომელშიც გაიწერება წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის სახელმძღვანელო პრინციპები, არსებულ პრაქტიკაზე, დასაბუთებისა და წერის ინსტრუქციებზე დაყრდნობით. აღნიშნული სახელმძღვანელო იქნება ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად განახლდება სამსახურის მიერ.

სამსახურის მიერ სამართალწარმოების ხარისხის გაუმჯობესების, ძირითადი და ახალი ტენდენციების გამოკვეთის, აგრეთვე სამომავლო პოლიტიკის დაგეგმარების მიზნით მნიშვნელოვანია კვლევითი მიმართულების განვითარება. კერძოდ, ანალიტიკური *განზოგადების მომზადება*, რომელიც აისახება წლიურ ანგარიშებში და შინაარსობრივი კვლევა/ების ინიცირება რელევანტურ საკითხებზე. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს *კმაყოფილების კვლევის* პილოტირებას შიდა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით.

სამართალწარმოების გაუმჯობესების მიზნით 2022-2024 წლებში იგეგმება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის კონცეფციის შემუშავება. პროგრამის დანერგვა უზრუნველყოფს ეფექტურ, სწრაფ და გამჭვირვალე სამართალწარმოებას. შესაბამისად, სამსახურის გრძელვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის კონცეფციის შემუშავება, რაც დამატებით ადამიანურ რესურსს (მათ შორის პროგრამირების მიმართულებით) და დონორთა მხარდაჭერას საჭიროებს.

2.2. ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაზრდა და განვითარება

სამსახურის მიერ საქმის წარმოების დაწყება და შემდგომი წარმოება დამოკიდებულია გადაცდომის შესაძლო ფაქტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქმედითი მომართვიანობის სისტემის არსებობა, რაც სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია ცხელი ხაზის და საჩივრის ელექტრონულად მიღების მექანიზმით.

სამსახურის მიერ იგეგმება ცხელი ხაზისა და საჩივრების ელექტრონულად წარმოდგენის სერვისების გამოყენების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება.

2020 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის რებრენდინგის ფარგლებში შეიქმნა ახალი ვებგვერდი **dis.court.ge**, სადაც შესაძლებელია საჩივრის ფორმის მიღება, დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების, წლიური ანგარიშებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცნობა. სამსახურს გამიზნული აქვს ვებგვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის. აღნიშნული აქტივობა დამატებით ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული და სამსახური იმედოვნებს მათ განხორციელებას დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2.3. დისციპლინური გადაცდომების პრევენციის ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაცდომაზე რეაგირების მიღმა განახორციელოს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რაც ძირითადად მოიცავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისთვის დისციპლინური სამართალწარმოების სწავლებასა და მოქმედ მოსამართლეებთან დისციპლინურ საქმეებზე ანალიტიკური განზოგადების განხილვას. ამ პროცესში, მსმენელებთან და სასამართლოს აპარატის მოხელეებთან, ასევე განხილული იქნება 2.1. პუნქტში აღნიშნული საქმის მოკვლევის ზოგადი სახელმძღვანელო.

მიზანი №3 - თანამშრომლების განგრძობადი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა

სტრატეგიული განვითარების მესამე მიზანი მოიცავს როგორც სამსახურის ადამიანური რესურსების სისტემურ განვითარებას, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამშრომელთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას და მათზე სათანადო რეაგირებას.

3.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს.³ 2020-2021 წლებში სამსახურის მიერ განახლდა სამუშაო აღწერილობები და დაინერგა ახალი შეფასების სისტემა. ამჟამად, სამსახურის გუნდი შედგება 6 თანამშრომლისგან, რომელთა შემდგომი პროფესიული და კარიერული განვითარება საჭიროებს სრულყოფილი ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავებას - მათ შორის შეფასების ელექტრონული სისტემის კონცეფციის მომზადებას, თანამშრომლების უნარების განვითარებას და ერთიანი სახელმძღვანელოს შემუშავებას (თანამშრომელთა შერჩევის, შეფასების, წახალისების, განვითარების და დაწინაურების პროცედურების/კრიტერიუმების შესახებ).

ამასთან, კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით სამსახური გეგმავს სტაჟირების სისტემის კონცეფციის შემუშავებასა და დანერგვას.

³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის პირველი პუნქტი

3.2. საჭიროებებზე ორიენტირებული გადამზადების პროგრამების შემუშავება

ადამიანური რესურსების მართვის ნაწილია როგორც სამსახურის, ისე ინდივიდუალური თანამშრომლის საქმიანობის და საჭიროებების ანალიზი, რომლის საფუძველზეც იგეგმება სათანადო გადამზადების პროგრამები - როგორცაა ტრენინგი/სემინარი, მენტორის პროგრამა, გაცვლითი პროგრამა, კონფერენციაში მონაწილეობა და ა.შ.

სამსახურში არსებული საჭიროებების გამოვლენა ყოველწლიურად ხორციელდება, თანამშრომელთა გამოკითხვის და უშუალო ხელმძღვანელის დაკვირვების საფუძველზე. გადამზადების პროგრამების შემუშავებისას თანაბარი ყურადღება ეთმობა როგორც ცოდნაზე, ისე უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

მიზანი №4 - საზოგადოების წინაშე სამსახურის ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ცნობიერების გაზრდა და პარტნიორობთან თანამშრომლობა

დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ასევე, თავად სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობადობის გაზრდა.

ანგარიშვალდებულება არის გზა, რომლითაც საზოგადოება აფასებს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობას. მეოთხე სტრატეგიული მიზანი მოიცავს სწორედ ანგარიშვალდებულების გაძლიერებასა და ცნობიერება/ცნობადობის გაზრდას.

4.1. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მიიჩნევს, რომ როგორც სახელმწიფო უწყება, რომელიც ახორციელებს ორგანული კანონის საფუძველზე მინიჭებულ უფლებამოსილებას - ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, სამსახური საზოგადოების ინფორმირებას გაწეული საქმიანობის შესახებ ახორციელებს წლიური და კვარტალური ანგარიშების ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნების მეშვეობით.⁴

დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის გამჭვირვალობისა და მიდგომების განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, წლიურ ანგარიშებში განზოგადებულია დასკვნებში არსებული განმარტებები - კონკრეტულ სტანდარტებსა და გადაწყვეტილებებზე მითითებით.

ამასთან, სამსახურის წლიური და კვარტალური ანგარიშები მოიცავს დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას. სამსახურის ვებგვერდზე, ასევე, ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებები მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე.

ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად სამსახური მუდამ ღიაა სამოქალაქო საზოგადოებასთან და პროფესიულ წრეებთან თანამშრომლობისთვის, მათ შორის ამ სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების და შესრულების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებისა და მათ მიერ გამოთქმული რეკომენდაციების განხილვის გზით. ამასთან, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური პროაქტიულად ატარებს შეხვედრებს სამოქალაქო საზოგადოების და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლებთან, რაც ასევე უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდას.

⁴ მუხლი 51¹(12), საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ;

4.2. პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველთან და საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობა (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან) მნიშვნელოვანია სამსახურის წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დამოუკიდებელ ინსპექტორს დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ეტაპზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმის მასალების საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დღემდე დამოუკიდებელ ინსპექტორს პროკურატურისთვის არ მიუშვართავს. თუმცა, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს საგამომიებო ორგანოებთან, მათ შორის პროკურატურისა და სპეციალურ საგამომიებო სამსახურის წარმომადგენლებთან, შესაბამისი თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბებას.

ამასთან, სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის⁵, ევროპის საბჭოს⁶ და ევროკავშირის⁷ სახელშეკრულებო და მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობას. სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმებისთვის საჭიროებისამებრ ინფორმაციის მიწოდებას. საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მადლიერია და სრულ მზაობას გამოხატავს დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

დამოუკიდებელი ინსპექტორი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს თანამშრომლობის ფორმატების განვითარებას მსგავსი უფლებამოსილების მქონე ინსტიტუტებთან - განსაკუთრებით ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის შექმნას და პროფესიული უნარების განვითარებას.

4.3. საზოგადოებაში სამსახურის შესახებ ცნობიერებისა და ცნობადობის გაზრდა

სამსახური კვლავაც გააგრძელებს საინფორმაციო კამპანიას დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით, მათ შორის სტუდენტებთან საჯარო ლექციებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით. ამასთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით იგეგმება სასწავლო კომპონენტებში დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკული კომპონენტის ჩართვა.

ამასთან, 2021 წლიდან სამსახურის ინიციატივით ტარდება ეროვნული შეჯიბრი „*სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა*“, რომელიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების სიმულაციას წარმოადგენს. დაგეგმილია ეროვნული შეჯიბრის ყოველწლიურად ჩატარება სტუდენტთა ცნობიერების გაზრდის მიზნით.

⁵ მაგალითად, ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი (UPR), სპეციალური პროცედურები და ა.შ.;

⁶ მაგალითად, CCJE, GRECO, ვენეციის კომისია და ა.შ.;

⁷ მაგ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბჭო და ა.შ.;

აქტივობების განხორციელების მექანიზმი

წინამდებარე დოკუმენტით დასახული სტრატეგიული მიმართულებების განხორციელება პირდაპირ კავშირშია ერთის მხრივ კონკრეტული აქტივობების განხორციელებასთან, ხოლო მეორეს მხრივ - განხორციელებული აქტივობების ობიექტურ, დროულ და ზუსტ შეფასებასთან.

სტრატეგიული მიმართულებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სტრატეგიის შესაბამისად შექმნილი აქტივობების სამოქმედო გეგმა. დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატი უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. კერძოდ, სამსახური სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლების, აგრეთვე დონორთა საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უზრუნველყოფს საკოორდინაციო შეხვედრის ორგანიზებას წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სამსახურის მიერ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის მომზადებით.